

## საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დასკვნა

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული და ფინანსური  
საქმიანობის კვარტალურ (იანვარი-მარტი 2009 წელი) ანგარიშზე

წინა კვარტლის საქმიანობის შედეგების შეფასებისას სამეურვეო საბჭომ შეშფოთება გამოთქვა მკაფიო, დოკუმენტურად დასაბუთებული კრიტერიუმების არარსებობის გამო, რომელთა მიხედვითაც ხდებოდა სატელევიზიო პროექტების შიდა ან გარე წარმოებად გამოიჯვნა. პაუსხად ორგანიზაციის მენეჯმენტმა შეიმუშავა შესაბამისი დოკუმენტის პროექტი. ჩვენი აზრით აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცება და იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას.


ამასთან, მენეჯმენტის მხრიდან დღემდე არ იგრძნობა წინსვლა ორგანიზაციის ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით. აღნიშნული პრობლემა იწვევს:

ა) თითოეული პროექტის/გადაცემის გასაწევი და გაწეული დანახარჯების ანალიზის შეუძლებლობას;

ბ) გარე წარმოების სტუდიების მიერ მაუწყებლის შიდა რესურსების (მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური) გამოყენების შეუფასებლობას.

ამ პრობლემის მოგვარების მიზნით 2009 წლის 20 თებერვალს სამეურვეო საბჭომ შეიმუშავა და დამტკიცა დოკუმენტი „სააღრიცხვო პოლიტიკის სტრუქტურული საფუძვლები“, რომელმაც ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლად განსაზღვრა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), ასევე ჩამოაყალიბა ორგანიზაციის ბიუჯეტის სარეკომენდაციო ფორმა – ფინანსური გამჭვირვალების თვისობრივად გასაუმჯობესებლად. სამწუხაროდ, მენეჯმენტს დღემდე არ მოუხდენია არც მიმდინარე წლის ბიუჯეტის კორექტირება და არც ამ კვარტლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა რეკომენდირებული ფორმით. აღნიშნული უმოქმედობა ნეგატიურად აისახება მენეჯმენტის ფინანსურ საქმიანობაზე.

ლევან გახელაძე



სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე

4 მაისი 2009 წელი

დანართი

	გადაცემა	პროგრამულ პრიორიტეტებთან თანადობა
1	„ალიონი“	ასახავს
2	„სამოთხის ვაშლები“	ძირითადად ასახავს
3	სერიალი: „მესამე თაობა“	არ ასახავს
4	„სიზმარვიზია“	ძირითადად ასახავს
5	„ცხოვრება მშვენიერია“	ძირითადად ასახავს
6	„გოლი“	ძირითადად ასახავს
7	„ჩვენებურები“	ასახავს
8	„პირველი თემა“	ასახავს
9	„მოწყვეტე წამი“	ძირითადად ასახავს
10	„აქცენტები“	ასახავს
11	„საქართველოს დიდი ათეული“	ძირითადად ასახავს
12	სტუდია „ბასტი-ბუბუ“	ძირითადად ასახავს
13	„ჩალაგე ჩემოდანი“	ძირითადად ასახავს
14	„იტალიური ეზო“	ასახავს
15	„მე მიყვარს საქართველო“	ძირითადად ასახავს
16	„ნაცნობი“	მცირედ ასახავს
17	„კაბარე – 5 ვარსკვლავი“	არ ასახავს
18	„ბაბილინას საკვირაო სკოლა“	ძირითადად ასახავს
19	„ხარისხის ნიშანი“	მცირედ ასახავს
20	„ტრანსმისია“	მცირედ ასახავს
21	„ფოლკლორი“	ასახავს
22	„დიალოგი როლში“	მცირედ ასახავს
23	„ერისთავის სათვალე“	არ ასახავს
24	„მომბე“	ასახავს
25	„მოკლე ჩართვა“	ძირითადად ასახავს